ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6523290001
თარიღი:17/10/2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 12

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 12.10.2023 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გრიგოლ მატარაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, თამარ შენგელია, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, ეთერი ჭიჭინაძე, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე მჟავანაძე, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ ცერცვაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე;

მომხს.: ***ვლადიმერ ჭვალაძე***

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ***ივანე მამფორია***

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: ***გელა ჩიკვაიძე***

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს.: ***გელა ღვიტიძე***

5. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის ნგ-65.6521337110 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ***გელა ჩიკვაიძე***

6. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთრიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის ნგ-65.6521337112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ***ვლადიმერ ჭვალაძე***

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ ცერცვაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ" ქვეპუნქტის,

61-ე მუხლის მეორე ნაწილის, ვანის მუნიციპაიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებული ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, N53 საოლქო საარჩევნო კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის N53/12 წერილისა და საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის 11 ოქტომბრის დასკვნის საფუძველზე, ცნობილ იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ ცერცვაძის უფლებამოსილება

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ ცერცვაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“;

განკარგულება N გ -65.6523285001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხესენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. კერძოდ, 2023 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადი დაკორექტირდა, მისაღები შემოსავლები იზრდება 259,0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 19296,4 ათასი ლარით, გადასახდელები 20568,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ლარის რედაქციით:

ა) მერიის ადმინისტრაციული შენობის ცენტრალური გათბობის მონტაჟის სამუშაოებზე

ღირებულებით-100,0 ათასი ლარი.

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება -6,5 ათასი ლარი.

გ) ქ. ვანში და დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია ღირებულებით-49,3 ათასი ლარი.

დ) მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაციის პროექტირების თანხა 1,5 ათასი ლარი.

ე)ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების სუბსიდია გაიზრდება 13,0 ათასი ლარით.

ვ)ა(ა)იპ საბავშო ბაღების გაერთიანების სუბსიდია გაიზრდება 50,0 ათასი ლარით.

ზ) ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის

სუბსიდია გაიზრდება 10,0 ათასი ლარით.

თ) ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის

სუბსიდია გაიზრდება 10,0 ათასი ლარით.

ი) მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზრდება 15,7 ათასი ლარით.

კ) მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზრდება 3,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – 1 (გრიგოლ მატარაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

დადგენილება N22

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ლუიზა ჯოგლიძის 2023 წლის 03 ოქტომბრის N65-65232764 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 (შვიდასორმოცდაოთხი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 7440 (შვიდიათასოთხასორმოცი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულებ Nგ-65.65232852

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ღვიტიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა ფრაქციაში და ტარიელ ბარამიძის ნაცვლად ფრაქციის წევრი გახდა მალხაზ ცერცვაძე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65232855

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის ნგ-65.6521337110 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება კომისიის შემადგენლობაში და ტარიელ ბარამიძის ნაცვლად კომისიის წევრი იქნება მალხაზ ცერცვაძე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის ნგ-65.6521337110 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულება Nგ-65.65232853

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს იურიდიულ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთრიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის ნგ-65.6521337112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამ შემთხვევაშიც მომხსენებლმა აღნიშნა, რომ კომისიის შემადგენლობაში შევიდა ცვლილება და ტარიელ ბარამიძის ნაცვლად კომისიის წევრი იქნება მალხაზ ცერცვაძე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთრიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის ნგ-65.6521337112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულება N გ-65.65232854

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი